




26 აპრილს, ჯაქოაჲ ყანაშში, 15 წავთბი, ყოლოცოწრის წახლოის ნ'ინ
(შ.წ.წ. „წავთმონი“) იხსენება ომარ ყელოაწეწრითშვილოის ზიოესცი.

ღრიის ჩანახერები

ომარ კალაპბრიშვილი

თქვინი ჯარ, განა სხვა ჯარო ...

ეს წერილი ერთმა შემთხვევამ დაამაწერინა: ჩვენში ზოგიერთ ახალგაზრდას თითქოს ემაყება კიდეც ქართული ფოლკლორის მიმართ გულცივი დამოკიდებულება და ხშირად უპირატესობას უცხოურს ანიჭებს. ბაძავს სიმღერა-გართობაში, ჩაცმა-დახურვაში, ვარცხნილობაში. მოდასაყოლილი წამბადველი, რატომღაც, განვლილ ეტაპად თვლის ქართულ ეროვნულ ფოლკლორს და სხვისი, გინდ მდარე ხარისხისა იყოს, მაინც მოსწონს. ის კი ავიწყდება, რომ ამით მხოლოდ წამბადველი, ფეხდაფეხ მდევარი, მაჩანჩალა იმისა, რასაც ჰბაძავს. ამ თემაზე არასასიამოვნო კამათში ხშირად მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ გაზეთში წერილის გამოქვეყნებაზე არასდროს მიფიქრია და არც ვიფიქრებდი, თუ არა ეს შემთხვევა.

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი „რუსთავი“ ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლში გამართულ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილეობდა. გამოსვლებისაგან თავისუფალ დღეს იქაურმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „რუსთავის“ წევრები ხალხური საკრავების მუზეუმში მიგვიწვია, სადაც ანსამბლის მიერ მოპოვებული ჯილდოები და საკრავები იყო გამოფენილი. ბოლოს ხელმძღვანელმა ანსამბლის მოკლე ისტორია გვიამბო და დასძინა: „ჩვენი ახალგაზრდობა გატაცებული იყო უცხოური ელექტრონისტრუმენტებით, ხალხური საკრავების დანახვაც კი ალიზიანებდათ. გაჩნდა კიდეც უამრავი ანსამბლი, უკიდურესად მდარე, კაფე-მანტანური სიმღერებისა და მელოდიების რეპერტუარით. მაგრამ, ჩვენდა სასიკეთოდ, მალევე ბედის ბორბალი წაღმა დაგვიტრიალდა. ახალგაზრდები მიხვდნენ, რომ ერის წინაშე დანაშაულს ჩადიოდნენ... ერთ მშვენიერ დღეს ერთ-ერთ მოედანზე გამოიტანეს უცხო ჩამომავლობის ინსტრუმენტები და საჯაროდ დაწვეს“.

ლიბიელი ახალგაზრდებისა არ იყოს, ჩვენში ზოგიერთს სასახელოდაც კი მიაჩნია ხალხური ინსტრუმენტებისა და სიმღერის უცოდინარობა. წარმოიდგინეთ, უფროსებიც შემცდარან და ჩონგურზე ფანდურიაო, უთქვამთ, ანდა პირიქით. ჩანგზე, ჭიანურზე და სხვა საკრავზე ზომ აღარაფერს ვამბობ. ნათქვამია, არცოდნა არცოდვაო, მაგრამ მთავარი ის არის, ხშირად იციან კიდეც, რომელ საკრავზე სრულდება ესა თუ ის მელოდია, და მაინც კითხულობენ, რა ინსტრუმენტიაო. დიას, იციან და, უბრალოდ, თავს იკატუნებენ, თუ ხალხურის ცოდნა ერცხვინებათ?

* დასასრული მე-6 გვ. ➡

ნომერი იძლევა ომარ
ყელოაწეწრითშვილოის სსოვნას

“ბა ჯადოსნური ძალა გაქვს, ლეონის პაცატა ღებოსა”...

ომარ კელაპტრიშვილი კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში თვითნასწავლი მუსიკოსის მიხეილ კელაპტრიშვილის ოჯახში 1943 წლის პირველ იანვარს დაიბადა.

1960 წელს დაამთავრა კავთისხევის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ს. ზაქარაიძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში ხალხურ საკრავთა განყოფილებაზე /ორკესტრის დირიჟორის სპეციალობით/, რომელიც დაამთავრა 1964 წელს.

1964-1965 წლებში მუშაობდა პედაგოგად კავთისხევის საშუალო სკოლაში.

1965-1967 წლებში იყო კასპის კულტურის სახლის დირექტორი.

1971 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი.

1971-73 წლებში სწავლობდა ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ფლეიტის სპეციალობაზე.



ომარ კელაპტრიშვილი საქართველომ 1964 წელს გაიცნო, მან პირველმა საქართველოს ისტორიაში დაუკრა კლასიკა სალამურზე - ეს იყო ზაქარია ფალიაშვილის საცეკვაო “დაისიდან.” ამ შესრულებისთვის ომარ კელაპტრიშვილი ოქროს მედლით და პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

1968-69 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ქართულ-ხალხურ საკრავთა ორკესტრში სოლისტად (ხელმძღვანელი კირილე ვაშაკიძე).

1967 წელს ომარ კელაპტრიშვილმა ხელოვნების მუშაკთა სახლთან ჩამოაყალიბა ხალხურ საკრავთა ტრიო და-ძმა კანდელაკების შემადგენლობით. დაიწყო მოგზაურობა მსოფლიოს ირგვლივ.

1967 წელს მოიპოვა საკავშირო ლაურეატის წოდება.

1969 წლიდან საქართველოს სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ “რუსთავის” დაარსებიდან ანსამბლის სოლისტი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ამ ანსამბლში მუშაობისას გამოვლინდა მისი უზადო ნიჭი, დაიხვეწა სამეცნიერებლო ხელოვნება. ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული მუსიკოსი გამოავლენელ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე.

ომარ კელაპტრიშვილმა ანსამბლ “რუსთავთან” ერთად ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს უდიდესი საკონცერტო დარბაზები. “გენიალური, ფანტასტიური, ტრიუმფალური, ლეგენდარული” – ასეთ შეფასებას აძლევდა მსოფლიო პრესა. დიდი პროფესიონალიზმი, სისადავე, მაღალი გემოვნება ის თვისებებია, რაც იქცა მისი სამეცნიერებლო ხელოვნების ძირითად პრინციპად, რამაც შექმნა კელაპტრიშვილის ფენომენი.

საფრანგეთში უდიდეს საკონცერტო დარბაზ “ოლიმპიაში” გასტროლების დროს ქართველმა ემიგრანტმა იმპრესარიომ ილია ჯაბადარმა ასეთი წარწერა გაუკეთა ანსამბლ “რუსთავის” პროგრამაზე: “გიხაროდეს ჩემო ომარ, აღფრთოვანებაში მოიყვანე უამრავი მსმენელი ყველა საგასტროლო ქალაქში სალამურზე საუცხოო შესრულებით. ბევრი განთქმული

კლასიკური მუსიკოსის კონცერტი მომისმენია, მოწონებაც დიდი ჰქონდათ, მაგრამ ოვაცია, როგორც შენ მიიღე, არც ერთს, თვით რასტრაპოვჩის არ მოუპოვებია. ყოჩაღ, ჩემო ომარ, შენი ნიჭი მარგალიტებით მოქარგავს ქართულ კულტურას”.

ილია ჯაბადარი, 1979 წ. საფრანგეთი.

1975 წლიდან ომარ კელაპტრიშვილი მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში, მიჰყავდა ციკლი ხალხური საკრავების ისტორიის შესახებ.

1981 წლიდან სათავეში ჩაუდგა ტელევიზიაში არსებულ პროფესიონალურ ხალხურ საკრავთა ერთადერთ ორკესტრს.

საქართველოს პირველ სალამურს ძალიან უნდოდა ორკესტრს თავისი მოძღვრებები ჰყოლოდა /ცალკეული შემსრულებლები დროდადრო გამოდიოდნენ მათთან ერთად/, ამიტომ გულდაგულ ეძებდა, არჩევდა უნიკალურ ხმებს, დიდი ხნის ძიების შემდეგ მიიღო სასურველი. ორკესტრს დაუმატა ქალთა ვოკალი, იგი თვლიდა, რომ ქალთა ფოლკლორი უნიკალურია და უამრავი მრავალფეროვანი სიძველე შემოგვინახა. ორკესტრს “იანგანა” დაარქვა, რომელიც იმთავითვე აღიარა მსმენელმა, მუსიკალურმა სამყარომ.

დაარსებიდან მოყოლებული ანსამბლი ყველა მნიშვნელოვან კონცერტს ამშვენებდა, მოგზაურობდა უცხოეთში, აკეთებდა ტელევიზიაში საფონდო ჩანაწერებს.

რეჟისორმა ზაალ კაკაბაძემ გადაიღო სრულმეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმი. ანსამბლის წევრების დიდი წარმატების შედეგი გახდა მათი დაჯილდოება იმზნელების პრემიით და ღირსების ორდენით. დღეს ანსამბლი თავისი დამაარსებლის ხსოვნის უკვდავსაყოფად ატარებს სახელს “კელაპტარი.” ანსამბლმა ჩაწერა გიგანტი ფირფიტა, აუდიო, ვიდეო დისკები.

ომარ კელაპტრიშვილი თავის ხელოვნებას გადასცემდა ბავშვებს, აღვივებდა მათში ეროვნულ სულს, ქართული ხალხური საკრავების სიყვარულს უნერგავდა. ვისაც არ უნახავს ომარი ბავშვებთან მეცადინეობაზე, ვერ დაიტრახაბნებს, რომ მას იცნობდა.

ომარ კელაპტრიშვილმა პირველმა დააარსა შეიდწლიანი სკოლა-სტუდია ფოლკლორის სასახლეში, შექმნა სკოლები გლდანის მასივში, ქალაქ კასპში. მუშაობდა თბილისის №3 და საესტრადო-საცირო სასწავლებელში პედაგოგად. მან მომავალ თაობებს შესანიშნავი მემკვიდრეობა დაუტოვა, თაობიდან თაობას გადაეცემა მისი შემოქმედება, რომელიც გვჭირდება ჩვენ მის მემკვიდრეებს და მათაც, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა. ალბათ ეს მისი ყველაზე დიდი დამსახურებაა ერის წინაშე.

მისი ყველაზე დიდი სურვილი იყო, მომავალი თაობები აღზრდილიყვნენ ქართულ ძირზე, ამას მიეძღვნა ხელოვნების საგაზეთო წერილები: “თქვენი ვარ, განა სხვა ვარო,” “რაც საქართველოს სჭირდება,” “სალამურსა გულში ჩავწვდი” და სხვა.

ომარ კელაპტრიშვილი 1970 წელს საფრანგეთში /ქ. კოლფოლანში/, 1980 და 1990 წლებში გერმანიაში ჩასაბერ საკრავთა საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი გახდა.

1975 წელს ქ. ვორნეჟში გამართულ საკავშირო კონკურსზე შეასრულა ალიაბიევის “ბულბული” ფორტეპიანოს თანხლებით, სადაც ლაურეატის წოდება მიენიჭა და ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

გარდა სალამურისა იგი ბრწყინვალედ ფლობდა ისეთ ხალხურ საკრავებს, როგორიცაა ფანდური, ჩონგური, ღუღუკი, ეს უკანასკნელი კლასიკის დონემდე აიყვანა.



ომარ კელაპტრიშვილისა და ციმი თეზელაშვილის ქორწილი. 1971 წლის 8 ოქტომბერი, თბილისი, ქორწინების სასახლე.

1980 წელს შექმნა მედუღუკეთა კვარტეტი, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა მუსიკალურ სამყაროში.

1980 წელს პირველმა გახსნა ექსპერიმენტული ლაბორატორია-სახელოსნო, სადაც შესანიშნავ ინსტრუმენტებს ამზადებდნენ.

ომარ კელაპტრიშვილი საქართველოს ძირძველ სოფლებსა და კუთხეებს სტუმრობდა და ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის მარგალიტებს ეძებდა. იგი იყო მკვლევარი, საქართველოს ყოველი კუთხე ფეხით ჰქონდა შემოვლილი. მოხუცებისგან იწერდა სიმღერებსა და მუსიკალურ ნომრებს, შეგროვილ მასალას იკვლევდა და ნოტებზე გადაჰქონდა; რის საფუძველზეც შეიქმნა მისი მეცნიერული გამოკვლევები ხალხური საკრავების შესახებ. დღეს თითქმის ყველა ქორეოგრაფიული ანსამბლი და მუსიკალური კოლექტივი ომარის შექმნილ მუსიკალურ ნაწარმოებებზე ცეკვავს და უკრავს.

ომარ კელაპტრიშვილი გატაცებული იყო პოეზიითაც, წერდა შესანიშნავ ლექსებს, აღსანიშნავია მისი ფილოსოფიური ლექსი “დავალ გზებზე ე, მაგ შენი სალამურით,” რომელიც მიეძღვნა მწვემს ბიჭს, რომლისთვისაც ჭირისუფალს ძვლის უნერ სალამური ჩაუყოლებია. სამარხი აღმოაჩინა ივანე ჯავახიშვილმა მცხეთაში, არქეოლოგიური გათხრების დროს, რომელიც თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2500 წლით.

1990 წელს ომარ კელაპტრიშვილის ხელმძღვანელობით ხალხურ-საკრავთა ჯგუფი გაემგზავრა გერმანიაში, მათ მუსიკალურად გააზნოვნეს სრულმეტრაჟიანი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი. ეს უპ-



რეცედენტო შემთხვევა იყო ხალხური მუსიკის ისტორიაში, როდესაც უცხოური ფილმი გახმოვანდა ხალხური საკრავებით.

1980 წელს ომარ კელაპტრიშვილს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

1989 წელს ომარ კელაპტრიშვილს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

რამდენჯერ შეურხევია მსმენელის სული მის ნიჭიერებას, რამდენჯერ ავსებიათ სიამაყით გული მის თანამედროვე ქართველებს ... და ვინ იცის კიდევ რამდენს მოასწრებდა ბედისწერას რომ ედროვებინა.

რამდენი ოცნება დარჩა აუხდენელი, მაგრამ მაინც, ძალიან ბევრი მოასწრო და დაგვიტოვა.

* დასასრული მე-3 გვ.

გერმანია, 1972 წ. “საარბრიუკენ ცაიტუნგი”

დასკვნით საღამოს დიდი მოწონებით მიიღეს ო. კელაპტრიშვილის ცნობილი ტრიო, მან ვირტუოზულად დაუკრა სალამურზე მოცარტის “რონდო” და ქართული მუსიკალური ნიმუშები.

გერმანია, /ფრგ./ 1974 წ.

ამ კონცერტის მწვერვალად იქცა ო. კელაპტრიშვილის გამოსვლა, რომელიც წარმოუდგენელი ვირტუოზობით უკრავდა არა მარტო ერთ, არამედ ორ სალამურზე ერთად. მას აკომპანიმენტს უწევდნენ ჯუმბერ ყოლბაია და გენო მუჯირი ისევ ხალხურ საკრავებზე.

ესპანეთი, ქ. სევილია, გაზეთი “ელ კორეო დე ანდალუზია”, 1975 წ. 31 აგვისტო

ომარ კელაპტრიშვილმა, ანსამბლის სოლისტმა სალამურზე დაკვრით ნამდვილი ფურორი მოახდინა მაყურებელზე, მან პირველ მოქმედებაში თავისი დიდოსტატური ვირტუოზობით, საუცხოო შესრულების მანერით წარმოუდგენელი სანახაობა წარმოადგინა გარდაცვლილ.

ესპანეთი, 1975 წ. გაზეთი “ფარო დე ვიგო”

დიდებული, საოცარი, სასიამოვნო, არაჩვეულებრივი ეფექტი მოახდინა ინსტრუმენტული ტრიოს შესრულებამ, სალამურზე დამკვრელმა ზომ თავისი საოცარი ოსტატობით ალაფროვანა ყველა.

1981 წ. 18 იანვარი, მანანა დუმბაძე, /ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი/ კრუიზი სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში

ომარ კელაპტრიშვილის ხალხურმა ინსტრუმენტულმა ტრიომ ნამდვილი სენსაცია მოახდინა, განუწყვეტელი “ბისით” კვლავ და კვლავ იწვევდნენ მათ სცენაზე.

ბრიუსელი, გაზეთი “ლასიტე”, 1979 წელი

დაუვიწყარია სალამურზე დამკვრელის ვირტუოზულობა, რომელიც ტოროლას სიმღერას გვაგონებს.

გაზეთი “ტრიბუნ დე ჟენე”, შვეიცარია, 1972 წ.

ვირტუოზულად ჟღერს მუსიკალური ტრიო, ჩონგურის, ფანდურის, სალამურის შემადგენლობით, ოღონდ სალამურზე შესრულებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

იტალია, 1986 წ. 5 სექტემბერი, ჯანსუღ ჩარკიანი

ყვიროდნენ იტალიელები, ამერიკელები, ფრანგები, ესპანელები, სცენიდან არ უშვებდნენ ომარ კელაპტრიშვილს და დღეს, როცა სალამური მეცხვარესაც კი გადაავიწყდა, უნდა გენახათ რა დღით

“სულისშემძვრელი შემოქმედების და უზადო ტექნიკის მაგალითი”



კვენსოდა ამ ვირტუოზი მუსიკოსის ხელში. ომარ კელაპტრიშვილის “ღვთიური სალამური,” ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი იტალიაში.

ამერიკა, 1990 წელი

დიდი წარმატება ხვდა წილად სალამურის უზადო შემსრულებელს, ვირტუოზ ფლეიტისტს ომარ კელაპტრიშვილს!

ომარ კელაპტრიშვილის ხელოვნება წარმოადგენს სულისშემძვრელი შემოქმედების და უზადო ტექნიკის მაგალითს, რომელიც შეიცავს თვითმყოფად ეროვნულ მუსიკას.

სამი ნომერი სრულდება ინსტრუმენტული ტრიოს მიერ. დამკვრელები გვაოცებენ თავიანთი ვირტუოზობით, ისინი უკრავენ ორსიმებიან ინსტრუმენტებზე და ათასწლიანი ისტორიის მქონე სალამურზე, ფლეიტის მსგავს ჩასაბერ ინსტრუმენტზე, რომელსაც ძალუძს ჩიტების გალობის მსგავსი ბგერების გამოცემა.

იაპონია, 1989 წ.

ომარ კელაპტრიშვილს ფეხის გადადგმის საშუალებას არ აძლევდნენ, სთხოვდნენ კიდევ ერთხელ ეჩვენებინა თავისი ვირტუოზული ტექნიკა.

ომარ კელაპტრიშვილის გამოსვლამ პირდაპირ ტრიუმფი გამოიწვია, მას დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან, შეარქვეს ვირტუოზი მაესტრო.

საფრანგეთი, 1970 წელი

ფანტასტიკურია სოლო ორ სალამურზე.

დიდი წარმატება ხვდა წილად ხალხურ საკრავთა ტრიოს, რომელსაც ო. კელაპტრიშვილი ხელმძღვანელობს, თითქმის ყველაფერს 3-4-ჯერ ამოვრებიანდნენ. ყველა კონცერტს მაყურებლები მაგნიტოფონზე იწერდნენ და შესვენებაზე თუ კონცერტის მერე კვლავ გაისმოდა სალამურზე ქართული მელოდები.

* დასასრული.

ქართველობამ კარგად უწყოდა ომარ კელაპტრიშვილის ფასი. იცოდა, რომ იგი ჩვენი “ცოცხალი განძი” იყო და რაოდენ გაგვიღარბა უმისობამ, ამას უკვე მომავალში ვიგრძნობთ.



ომარ კელაპტრიშვილი 1992 წლის 16 აგვისტოს გარდაიცვალა მწვავე ლეიკოზით 49 წლის ასაკში, იგი დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

“რა ჯადოსნური ძალა გაქვს, ლერწმის პატარა ღეროსა”...

მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ქ. თბილისში გაიხსნა ომარ კელაპტრიშვილის სახელობის სკვერი, სადაც დაიდგა მისი ბრინჯაოს ბიუსტი.

კავთისხევეში დაარსდა ხელოვანის სახლ-მუზეუმი, რომელიც ისტორიული მნიშვნელობისაა, ამ სახლში პერმანენტულად იმართებოდა ეროვნული შეხვედრები, მას სტუმრობდნენ 1970-80-90-იან წლებში საქართველოს გამოჩენილი მოღვაწეები, რომელთა სახელები ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ქართული კულტურის ისტორიაში.

ომარ კელაპტრიშვილი დიდი ქომაგი იყო მშობლიური კუთხის, მან ასახელა თავისი სამშობლო, კუთხე, ქალაქი კასპი, სადაც იგი სიჭაბუკის წლებში მუშაობდა კულტურის სახლის დირექტორად.

წლები, როგორც წესი თავის სახელს არქმევს ადამიანთა ნაღვაწს. დროის ეს შეფასება უტყუარია და უკამათო, გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც

ნელდება ადამიანის იმქვეყნად წასვლის ტკივილი და ცივი გონება შეაფასებს ისტორიად ქცეულ ნაღვაწს, ყველაფრისა და ყველას ფასი სწორედ მაშინ ხდება თვალსაჩინო.

უკვდავებაში გადასულ ომარ კელაპტრიშვილის შემოქმედებას მიესადაგება ბიუსტის დადგმა მის მშობლიურ ქ. კასპში. ეს ძალიან დიდი საჩუქარი იქნება მისი ხსოვნის უკვდავებისათვის, რამეთუ 2013 წელი საიუბილეოა, მას შეუსრულდა გარდაცვალებიდან 20 და დაბადებიდან 70 წელი.

მუსიკოსი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა ქართველ ხალხს და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ეროვნული ინსტრუმენტული კულტურის განვითარებაში. გავა წლები, უამრავი ახალგაზრდა დაუკრავს სალამურს, მისი მოსმენისას ქართველი კაცი იტყვის: აი, ეს ის ჰანგია, რასაც ომარ კელაპტრიშვილის ნიჭი გამოსცემდაო.

იხედავით მადლობას უხდის ომარ ჯედაჰსიშვილის ოჯახს მონოდებილი მასალებისა და თანამშრომლობისათვის.



მეარ კალაბრიშვილი 1991 წელი.

რეზო თაბუკაშვილი – ომარის კონცერტებს სულგანებული ვესმენდი ზოლმე, გული მეუბნებოდა, ომარი ვირტუოზია, ნამდვილი ვირტუოზი. მისი შემოქმედება სიამაყის ფურცელია ქართული კულტურის ისტორიაში, მისი მუსიკა ლოცვასავით ეფინება სრულიად საქართველოს.



ბურსის ქართველთა საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ომარ კელაპტრიშვილის გარდაცვალების გამო. ჭეშმარიტად საქართველოს გამოაკლდა ტრადიციული ქართული ფოლკლორის სათაყვანო ბერძენი. ბურსის ქართველთა საზოგადოება კარგად იცნობდა ომარ კელაპტრიშვილის ხელოვნებას, პატივს სცემს მის სტილსა და თითქმის მივიწყებული ჟანრის აღორძინებას და ამასთანავე გამოთქვამს იმედს, რომ მის მიერ აღორძინებული საქმე გაგრძელდება მის მოსწავლეებში, რათა საქართველოს მომავალ თაობას შეუნარჩუნონ ესოდენ ორიგინალური ტრადიციული ფოლკლორული სახეობა, ომარ კელაპტრიშვილის სახელი მუდამ იბრწყინებს ქართული ფოლკლორის კლასიკოსთა შორის.

თეატრი, ბუკის ქართული საზოგადოება.

პარიზი – ქართული სახლი.

ომარი გამორჩეულად უყვარდა ყველას, ვისაც მასთან ერთად თუნდაც რამდენიმე საათი გაუტარებია, გვხვებოდა მისი დაუმრეტელი ენერგია, ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, ხალხური მუსიკისადმი საოცარი ერთგულება.

კაცი მაძიებელი, კაცი მეგობარი, კაცი ამაღლებული სულისა და უძველესი მუსიკალური საკრავის საღამურის მომწერებელი, აი, ვინ დაგვტოვა სამუდამოდ.

სულით ზორცამდე შემრწუნებულები ვართ, ვწუხვართ, რომ ვერ ვესწრებით გავაცილოთ უკანასკნელ გზაზე. ჩვენი პირველი კონცერტი მის ხსოვნას მიეძღვნება. ამით მაინც მოვიხდით მცირედ ვალს მისი ნათელი სახელის წინაშე. მიიღეთ ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა თქვენი ოჯახისათვის ამ უმძიმეს წუთებში.

ანსამბლი **“ქართული ხმაები”**, 1992 წ. 25 აგვისტო.

ზაიალ გამსახურია – ვიზიარებ თქვენს მწუხარებას უნიჭიერესი ხელოვანის, ქართველი ერის ერთ-ერთი შესანიშნავი შვილის, ყოველი ჩვენთაგანის საყვარელი ადამიანის, ომარის უღრმოდ გარდაცვალების გამო, მიიღეთ ჩემი უღრმესი სამძიმარი, თქვენი ოჯახისათვის ამ უმძიმეს დღეებში.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი. 1992 წლის 15 სექტემბერი.



ანსორ აკაოვაიშვილი – ანსამბლ **“რუსთავის”** სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი.

ომარ კელაპტრიშვილი ანსამბლ **“რუსთავში”** მისი დაარსების დღიდან მოღვაწეობდა, მე მინახავს მისი საოცარი წარმატებები მსოფლიოს უდიდეს საკონცერტო დარბაზებში, ფეხზე ამდგარი მაყურებელი დიდხანს არ უშვებდა მას სცენიდან და ოვაციას უმართავდა ქართველ შემსრულებელს. **“რუსთავს”** საყრდენი ბოძი წაექცა,



იგი **“რუსთავის”** თვალი იყო, ის საოცარი წარმატება, რომელიც ომარმა მოუტანა საქართველოს, დაუვიწყარია, მისი გამოსვლა უბრალო არ იყო, მაშინ ცოტა თუ იცნობდა საქართველოს, მსოფლიოს რამდენი მაყურებელი წასულა სახლში და მოუნახავს რუკაზე საქართველო. ომარის მთავარი დამსახურება მაინც ის არის, რომ საქართველოში პირველმა სწორედ მან აამღერა უმაღლეს დონეზე თითქმის მივიწყებული საღამური, მწვემის ეს პატარა საკრავი და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, სხვებს, აუარება ბიჭუნებს შეაყვარა იგი. მან ანსამბლი **“რუსთავი”** უკვდავყო.

ფრიდონ სულაბერიძე – ანსამბლ **“რუსთავის”** მთავარი ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი.

– ომარის სურვილი იყო ცეკვის შესავალი წასულიყო ხალხური საკრავებით. მან შთამაგონა, რომ ამით ქართული ცეკვა გამდიდრდება, მუსიკა დაიწერება, ორკესტრი დაუკრავს და ყველაფერი წავა ბრწყინვალედ. მისი გამოსვლა ტრიუმფი იყო, პირველ ნომრად მიდიოდა **“რუსთავში”**, სჯობნიდა ყველას, მსგავსი ხალხურ-ინსტრუმენტულ ხელოვნებაში საქართველოს არ ჰყოლია, ეს მართლაც დიდებული მუსიკოსი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, ხალასი, ალალი, ჭეშმარიტად კაცური კაცი, რამდენჯერ მინახავს კონცერტის შემდეგ სცენაზე ამოსულან და მისთვის ხელებიც კი დაუკოცნიათ. მის დანახვაზე დარბაზი გმინავდა.



– ქუთაისში კონცერტზე უკრავდა ომარ კელაპტრიშვილი, ხალხი სცენიდან არ უშვებდა, ბოლოს მან დუდუკი ამოიღო, ქართული მელოდია შეასრულა, დარბაზში ტაში გრიანებდა, ომართან ავიდა სცენაზე ერთი ახალგაზრდა კაცი და უთხრა, ბატონო ომარ, თქვენს დუდუკს ეგ თასმა ჩახსენით და ეს ოქროს ძეწკვი ჩაუბითო, თქვენი ხელოვნება მხოლოდ ამას იმსახურებსო.



ლევან ღივინიძე – ენათმეცნიერი.

ომარ კელაპტრიშვილი განსაკუთრებული მოვლენა იყო ქართულ, ფოლკლორულ ხელოვნებაში, რამდენადაც მან საღამურზე დაკრის ტექნიკა ვირტუოზულ დონემდე აიყვანა. მან პირველმა წარმოაჩინა ამ უნიკალური ქართული ინსტრუმენტის შესაძლებლობის დიაპაზონი. იმ შემოქმედებით წარმატებებში რასაც ანსამბლ **“რუსთავმა”** მიაღწია, ჩვენში თუ საზღვარგარეთ, უმნიშვნელოვანესი წვლილი ომარ კელაპტრიშვილის მიუძღვის. მის უდავო დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ, რომ მას გაუჩნდა უამრავი მიმდევარი, იგი არანაკლები წარმატებით ფლობდა სხვა ხალხურ საკრავებსაც. ომარ კელაპტრიშვილმა მიუხედავად შეწყვეტილი შემოქმედებითი გზისა, წარუშლელი კვალი დატოვა ეროვნულ სამუსიკო ხელოვნებაში. უდავოა, რომ საქართველოში, ან მის ფარგლებს გარეთ კიდევ დიდხანს საღამურის ყოველ აუღერებაზე ქართველ კაცს უნებურად ომარ კელაპტრიშვილი წარმოუდგება და სწორედ ეს არის ხელოვანის უკვდავების ჭეშმარიტი დასტური.



გერმანია, 1974 წელი, ივნისი. ბატონ ჰერმან ვედეკინდის ინიციატივით ზაარლანდში გაიმართა ქართული კულტურის დღეები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ დრამატული, საოპერო თეატრის მსახიობები, სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი, ანსამბლი **“რუსთავი”**, შემდეგ ზაარის მხარის პრემიერ-მინისტრმა ოსკარ ლაფონტენმა ზაარბრიუკენის დაძმობილებულ საფრანგეთის ქალაქ ნანტს დაამოზილა თბილისი, შეიკრა სამთა მეგობრული წრე, საქართველო – გერმანია – საფრანგეთი. ჰერმან ვედეკინდს გამორჩეულად უყვარდა ომარი და აფასებდა მის ხელოვნებას. მან დელეგაციის წევრები მიიწვია თავის ვილაში, რომელსაც ჰერმან ვედეკინდიშვილი დააწერა, შემდეგ ჩაატარა სტუმრებს შორის ასეთი კონკურსი: **“ვინც დღეს ძალიან მოგვაწონებს თავს, ვაჩუქებ ჩემს სამზარეულო ჭიქას”**. ომარმა ნაბადი მოისხა, ტყის სიღრმეში შევიდა და ისე შთამბეჭდავად შეასრულა საღამურზე მელოდია, რომ ჰერმანმა უთხრა, შენ გაიმარჯვე, ეს ჯილდო შენ გეკუთვნისო. დღეს ეს ნივთი ინახება ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმში.



ისპანეთი — 1977 წელი. “რუსთავის”

კონცერტები უდიდესი წარმატებით მიდის, იმართება კონცერტები ღია ცის ქვეშ ტყე-პარკში. 16 ათასი მაყურებელია მოსული “რუსთავის” სანახავად, დადგა ომარ კელაპტრიშვილის გამოსვლის დრო, იგი უკრავს, უცებ სცენაზე რაღაც სტვენისმაგვარი აღწევს, მსახიობებს ჰგონიათ, რომ უკანა რიგებში დარდიმანდი ახალგაზრდები უსტვენენ. იმართება გადაძახილი, სტვენას სტვენით პასუხობს სალამური, პაექრობა დიდხანს გრძელდება, მხოლოდ ფეხზე ამდგარ მაყურებელთა გამაყრუებელი ტაში ამთავრებს ამ არნახული ორკესტრის გამოსვლას, მერე გაირკვა, სალამურის სტვენას ტყე-პარკის მუსიკალური ბინადარნი შაშვები სასიმღეროდ განეწყო და ისინიც ერთგულად აჰყოლოდნენ.



პოეტი დათო მაღ-

— ომარ კელაპტრიშვილის შემოქმედებას დედაენის სურნელი დასდევს. მისი უბადლო მუსიკა დედაენასავით გადაეშლება პატარა მკითხველს.



პაპლაშ გონაშვილი და ომარ კელაპტრიშვილი 1984 წელი. პარიზი.

იბალიაზი ომარ კელაპტრიშვილის გამოსვლას ადარებდნენ ფეხბურთის მეფის პელეს მიერ იტალიელთა კარში გატანილ ბურთებს.



ჩინა მორჩილაკი — კომპოზიტორი.

მე გამიმართლა და ბავშვობიდან კარგ ქართველებთან ვიზრდებოდი. ომარ კელაპტრიშვილი ბრწყინვალე მუსიკოსი და პედაგოგი იყო. ჩემი ბავშვობა დაკავშირებულია ხალხურ-საკრავთა ორკესტრთან, ომარი ბიძა გახლდათ ჩემი, მან გამზარდა ტრადიციებზე, შეიძლება ამიტომაც მაქვს ფოლკლორის მიმართ გამძაფრებული სიყვარული, ჩემს სიმღერებში ქართული სული, მუხტი დევს და ეს ომარის დამსახურებაა. ჩემი შემოქმედების საფუძველი არის ფოლკლორი, ეს მაძლიერებს.



ომარ კელაპტრიშვილი (უმცროსი) 1994 წელი.

ძვირფასო ომარ!

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთელი კოლექტივი სიხარულით გესალმებით თქვენი შემოქმედების ზეიმზე. ჩვენ ძალიან გვიყვარს და ვაფასებთ თქვენს ხელოვნებას, გულშიამწვდომს, ალალსა და მშვენიერს... გისურვებთ დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს, მრავალ შემოქმედებით გამარჯვებას. დაე, დიდხანს გემღერებოდეთ, დიდხანს ესმინოს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მსმენელს თქვენი ბულბულივით სალამურისათვის — მომაჯადოებელი ქართული ჰანგისათვის, რომლის მაღლი ასხივოსნებს თქვენს ვირტუოზულ ხალხურ შემოქმედებას.



ვერიკო ანჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელი, კოტე მახარაძე, თენგიზ არჩვაძე, ვასო გოძიაშვილი, გიორგი ტატიშვილი, მედეა ბიბილეიშვილი, ლეო ანთაძე, ეკატერინე ვერულიშვილი, ირაკლი უჩანეიშვილი, მალხაზ გორგილაძე, გივი ბერიკაშვილი, ვახტანგ ნინუა, ჯემალ მონიავა, შოთა მშვენიერაძე, მედეა კუჭუხიძე.

1981 წლის 11 აპრილი.

ზურაბ ანჯაფარიძე.

მას შეუძლია მსოფლიო სენსაცია გამოიწვიოს. მან ქართულ სალამურს აკადემიზმი შესძინა.



ბერძენი, 1990 წელი — ხალხურ საკრავ-

თა მსოფლიო ფესტივალი გაიმართა კოლნის დიდებული ტაძრის ეზოში, როდესაც ქართველმა მუსიკოსებმა ომარ კელაპტრიშვილის ხელმძღვანელობით დაამთავრეს გამოსვლა, მათთან მივიდა გერმანელი კინორეჟისორი, რომელსაც ეკოლოგიურ თემაზე გადაღებული ჰქონდა სრულმეტრაჟიანი ფილმი სათაურით “კაცი ხეებით”, 4 წელი ვერ მოუძებნა მუსიკალური თანხლება, ქართულმა ხალხურმა მემკვიდრეობამ ძალიან დააინტერესა და სთხოვა ომარს, დათანხმებულიყო მის მუსიკალურად გახმოვანებაზე. ასეც მოხდა, ანსამბლის წევრებმა თავდაუზოგავად იმუშავეს და ფილმი მუსიკალურად გაახმოვანეს. ეს მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო ხალხური მუსიკის ისტორიაში. დღეს ეს ფილმი ინახება ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმში.

1970 წელი, საფრანგეთი, ქალაქი

კონსტანტინი, იქ ტრადიციად იქცა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება, მოსახლეობის თხოვნით ფესტივალის ოფიციალურად დახურვის მეორე დღეს “სალხინომ” (შემდგომში “რუსთავი”) გამართა დამატებითი კონცერტი, რომლის დასასრულს ფესტივალის პრეზიდენტმა ჟან კურსაჟემ გვამცნო, რომ მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა, ფესტივალის კომიტეტმა იმსჯელა და გადაწყვიტა საუკეთესო საკონცერტო პროგრამის მომზადებისათვის ანსამბლ “სალხინოს” მიენიჭოს პირველი პრიზი და ლონდონის მე-13 საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატის წოდება. ეს ერთადერთი შემთხვევაა, რომ განსაკუთრებული მედლების დასამზადებლად სპეციალური შეკვეთის მიცემა დაგეგმილიყო.



ზურაბ კაუჩიანიძე —

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი.

ომარმა ბევრი გააკეთა საქართველოსთვის, თავისი უბადლო შემოქმედება ლამაზად მიართვა

თავის ქვეყანას, მაღლობა ერისაგან, მაღლობა ბერისაგან...

პოეტი ჯანსუფ ჩაქვიანი —

- ძვირფასო ძმაო ომარ, დღეს, როცა შენი სული შენს სხეულს ევრება და ამ მუხთალი წუთისოფლიდან მარადიული სოფლისაკენ მიილტვის, დღეს რომ გითხრა ჭეშმარიტი ქართველი იყავ — მეთქი, სირცხვილია, შენნაირ ქართველს ჭეშმარიტება უმტკიცონ. ისიც რომ გითხრა, შენს დიდ სამშობლოში, შენს ბედკრულ საქართველოში კელაპტარივით ენთე — მეთქი, ესეც ფუჭი მტკიცება იქნება, რადგანაც გვარი შენი და ჯილაგი კელაპტარიდან მოზრდნდება. მაშ ის გითხრა რომ სალამური იყავ და მთელი შენი ცხოვრება კენსოდი საქართველოს უძღურებას? ესეც ხომ ჭეშმარიტებაა.



მასხოვს, ფეხზე დამდგარი იტალიის დიდი ქალაქები, ქუჩები, მოედნები, ვეებერთელა სადღესასწაულო მუსიკალური ცენტრების გაბმული კივილი, რომლითაც აღტაცებას გამოთქვამდნენ შენი ვირტუოზობის გამო. ერთმა იტალიელმა კონცერტის შემდეგ ასე თქვა ... ამ კაცს სალამურზე ანგელოსები უსხედანო. მართლაც ასე იყო, ისინი წყვილად გესხდნენ, ბოლო ამოსუნთქვის შემდეგ, ისინი მოფრინდნენ შენთან, ცოცხალ სალამურთან, მხარზე ნაზად გემთხვიენ და გაგაფრინეს იქ, სადაც საუფლოა შენნაირ დაღლილ კაცთა, იქ ჰამლეტ გონაშვილთან, იქ შენს საყვარელ რეზო თაბუკაშვილთან.

ჰაი, ჰაი, რომ იმდენი სუნთქვა კი დაგრჩა ამ წუთისოფელში, დღეიდან ყველა ქართველის მიერ აკვნესებულ სალამურში შენიც ერის... მშვიდობით, კაცურო კაცო, მშვიდობით, საქართველოს ხელზე ატირებული ცოცხალი სალამურო...

1992 წ. 22 აგვისტო.

სალამური რომ უძველესი ქართულ-იბერიული საკრავია არაერთი ლიტერატურული წყაროც ადასტურებს. “დაბადების” მიხედვით სალამურის შექმნა და მისი გავრცელება ქართველთა წინაპრებს თუბალებს (იბერებს) მიეწერება. “დაბადების” ებრაულ ტექსტში ნათქვამია: “თუბალი იყო მამა ყოველთა დამკვრელთა სალამურსა და ბარბითზე”. ბარბითი, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ძველი ქართული სიმებიანი საერო საკრავია, რომელიც მიემსგავსება ფანდურს: “მოვშორდი ღვინსა — ყოველსა ჩანგსა, ბარბითსა და ნასა”, — ამბობს რუსთაველი.

სალამურზე არსებულ მდიდარ მითოლოგიურ მასალას დღესაც ემჩნევა ანტიკური ხანის თუ ქრისტეს აქეთა პერიოდის კვალი. ხალხის რწმენით, სალამურის მოსპობა არავითარ ძალას არ შეეძლო — ცეცხლიც კი ვერაფერს აკლებდა. იგი დაკარგულ ბავშვსაც აპოვნინებდა, გაქვავებული ადამიანის გაცოცხლებაც შეეძლო, ზღაპრული წიქარას მოხმობაც და ცხრაკლიტულიდან ბიჭუნას გამოხსნაც. ზოგიერთი თქმულების მიხედვით, ადამიანს სალამური ღვთაებისაგან მიუღია, აკი იგი ღვთაებრივ საკრავადაც არის მიჩნეული. ხალხს უთქვამს: “შენი კენესა და წკრიალი ეშხს ჰმატებს მთას და მდელოსა, რა ჯადოსნური ძალა გაქვს, ღერწმის პატარა ღეროსა”...

სალამურის მსგავსი ჩასაბერი საკრავი ქვეყანაზე ბევრია. მე პირადად ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალებზე, მრავალჯერ მინახავს არაერთი მსგავსი საკრავი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თუ სალამურს ჰგავს ყველა სალამურია, მაგ: ბულგარეთში აქვთ ფუიარკა, საბერძნეთში ავლი, იტალიაში ფლეიტა, არაბეთში მზმარი და სხვა... ამის გარდა, შეიძლება ერთი მუსიკალური საკრავი ჰგავდეს მეორეს, როგორც ჩამოსაკრავი ასევე ხემიანი, მაგრამ მათი მუსიკალური მხარე, ტემბრი, შესრულების მანერა, საკრავის ფორმა არ შეიძლება ერთი და იგივე იყოს.

რაც შეეხება ჩვენს სალამურს, იგი დიდად განსხვავდება ჩამოთვლილი ყველა საკრავისაგან. ჩვენი სალამური ენიანია და მისი დიაპაზონი სამ ოქტავამდეა, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი საკრავები ყველა უენოა და მათი დიაპაზონი განისაზღვრება ერთი ოქტავით, ასე მცირე დიაპაზონში, მხოლოდ პრიმ-

კოლექციის დათვალიერებისას იანმა მთხოვა, ჩამომელო ერთ-ერთი საკრავი და დამეკრა რომელიმე ქართული მელოდია, თხოვნა კი შეუუსრულე, მაგრამ გაწბილებული დავრჩი, დიდი წვალებით, როგორც იყო ხმა ამოვალბინე საკრავს, თითები სათითურებზე მოვარგე და გადავწყვიტე ჩვენი პოპულარული მელო-

სალამურსა ეკლში ჩაწვდი...



იტული მელოდიების შესრულება თუ შეიძლება.

მასსოვს, ანსამბლი “რუსთავი” საფრანგეთში იყო საგასტროლოდ. იქ დავეუშვებოდი ერთ-ერთი უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლის პროფესორს, ფლეიტაზე დამკვრელ იან თხემს, მას მოეწონა ჩემი დაკვრა და მთხოვა შინ ვწვეოდი, დამეთვალერებინა მისი ჩასაბერი საკრავების მუხეუმი, რომელიც მსოფლიოს ხალხთა ოთხას საკრავს ითვლიდა; ამ უნიკალური

დია “სულიკო” დამეკრა, მაგრამ ნურას უკაცრავად, როგორ არ ვეცადე, როგორ არ ვიწვალე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ჩამოვიღე მეორე, მესამე, მეოთხე ჩასაბერი საკრავი, ისევე ამაოდ. ბატონი იანი მიეყრებდა და გულიანად იცინოდა, მე დაბნეულობისაგან მხრებს ვიჩეჩავდი და ვუხსნიდი, რომ...

ბოლოს ისევ ჩვენმა სალამურმა გამომიყვანა მდგომარეობიდან, ვტაცე ხელი იქვე ჩამოკიდებულ ჩემს მიერ ნაჩუქარ სალამურს, არც ვაძიე, არც

ვაცხელე და ხელდახელ ჩამოვარაკრაკე “ტარანტელას” რთული პასაჟები. იანი ბრავოს ძახილით და ტაშით მხარზე ხელს მირტყამდა. შემდეგ გამომართვა ჩვენი სალამური და სრულიად დაწყნარებულმა მშვენივრად შეასრულა “სულიკო”.

ის ჩასაბერი საკრავები, რომლებსაც მე ვერა გავეუგე რა, იმდენად კარჩაკეტილი და პროვინციული იყო, რომ ჩემს მსგავსად, ვერცერთი სალამურზე დამკვრელი ვერ აახშიანებდა. მხოლოდ ქართველმა ხალხმა შექმნა ინსტრუმენტი, რომელსაც ინტერნაციონალური ჟღერა აქვს და მუსიკალურად კანონზომიერი წყობაო, — მითხრა იან თხემმა და თავის ადგილზე ჩამოჰკიდა ჩვენი სალამური.

საქართველოში სალამურის უძველეს დროში არსებობას გვიდასტურებს 1938 წელს მცხეთაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ბურუსით მოსილი მრავალი საკითხი გამოიტანა სამზეოზე, მათ შორის შორეული პერიოდის მუსიკალური კულტურის ამბებიც. ერთ-ერთ სამარხში, სპეციალისტთა აზრით, 14-15 წლის ბიჭუნა განისვენებდა, მიცვალებულისათვის ჩაყოლებულ სხვადასხვა ნივთთან ერთად აღმოაჩინეს ძვლის უნო სალამური, ექსპედიციის ხელმძღვანელმა ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა ამ სამარხს პატარა მწეფში ბიჭის საფლავი უწოდა, რომელიც დათარიღდა ძველი წელთაღრიცხვის XI-XII საუკუნეებით.

აღმოჩენილი სალამური გამომიჩვენა დამუშავების მაღალი კულტურით. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში ოდითგანვე არსებობდა სალამურზე დაკვრის ტრადიცია. ძნელია იმ განცდის გადმოცემა, მე რომ დამეუფლა, როდესაც ქრისტეს დაბადებამდე დაღუპებულ ძველთაძველ ქართულ იბერიულ სალამურს ჩაგებე...

ოზარ კალაბაჩიშვილი.
ნაჩილი გამომავალია გზით
“თბილისი”-ში 1991 წლის 2
იანვარს.

*დასასრული.

ნურას უკაცრავად, ხალხური რომ ჰქვია მით უფრო პატივსაცემია, მით უფრო ხელიხელსაგომანები და მოსაფერებელია შენი ერის შორეული კულტურის ცოცხალი, სულიერი ძეგლი. ხალხური სიმღერა სწორედ ის ჰანგია, რასაც შენ “ფანდურის ჩხაკუნს” ეძახი...

მერე არ იკითხავთ, ეს დროცვილი რამდენი ათასი წელია, რაც “ჩხაკუნობს” და მისთვის ენა მუცლად არავის ჩაუვლია? უთუოდ მოგვწონს ქართველებს მისი ხმა, თორემ კარგი დაგემართოთ, კარგი დაგვიტომა სხვისთვის და ცუდს რად გავაჭაჭანებდით?

ზოგისთვის ჩხაკუნია, ზოგისთვის ჟღარილი, ზოგისთვის კი წკრიალი. ნათქვამია: “თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოვარ”, აკი მოვიდნენ კიდეც. შარშან ზაფხულს იაპონელებმა საოპერო თეატრში ისე ლამაზად იმღერეს ჩვენი ხალხური სიმღერები, რომ ქართველები ქართული სიმღერის შესრულებით კინაღამ გაგვაციეს. დიას,

ოქვენი ვარ, განა სხვა ვარო ...

ჩვენს ფოლკლორს სხვა შეჰხარის, სხვა დანატრის, სხვა აფასებს. აი კიდევ ერთი მაგალითი: სამი წლის წინათ საქართველოში მყოფი შვედების ერთ-ერთი ანსამბლის წევრებს ისე მოეწონათ ქართული ხალხური საკრავების რბილი ჟღერა, რომ ოცდათორმეტი სხვადასხვა დასახელების საკრავი დაამზადებინეს შინ წასაღებად. ისიც თქვს, რომ ამიერიდან ქართული ხალხური საკრავები გავიწევენ თანხლებასო.

ამით იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს გადაწურული ჰქონდეს წყალი ხალხური საკრავების მომავალს. არა, საკმაოდ ჰყავს ქომაგები — არა მარტო პიროვნებები, რომლებიც ამ სამკვილიშვილო საქმეში მოღვაწეობენ, არამედ ისეთი ავტორიტეტული უწყებები, როგორიცაა კულტურის სამინ-

ისტრო, რომელმაც ხალხურ საკრავთა ექსპერიმენტული ლაბორატორიას ხელისუფლება გაუზიარა; საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, რომელმაც რესპუბლიკაში ერთადერთი ქართულ-ხალხურ საკრავთა პროფესიული ანსამბლი ჩამოაყალიბა და დიდი მონდომებით მფარველობს. და ბოლოს, ქალაქის განათლების სამმართველოს ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლი, სადაც თორმეტი წელია არსებობს ხალხურ საკრავთა ხუთწლიანი სტუდია.

დღეისათვის კი ფანდური, ჩონგურთან და სალამურთან ერთად, მსოფლიოს გზებზე დადის და შეხმატებული ბიჭები უცხო მიწაზე აფრქვევენ ქართული ფოლკლორის განუმეორებელ სურნელებას: “დაუკარ, ჩემო ფანდურო,

გათლილო თუთის ხისაო, შენ პაპიჩემის მოჭრილო, ბებიაჩემის ხნისაო...”

სიტყვამ მოიტანა, თორემ, ფანდურის ან სხვა ხალხური საკრავის ასაკის დადგენა რა ჩემი საქმეა, მე მხოლოდ ინსტრუმენტალისტი ვახლავართ, მაგრამ, თუ მეცნიერთა ჰიპოთეზას დავუჯერებთ და მართლა რაიმე საერთოა შუმერებსა და ჩვენს შორის, მაშინ ბევრი რამ გასაგები უნდა იყოს: შუმერულად “ფანტურია”, ქართულად “ფანდური”. შუმერულად “ჩანკია” (რაც ბრჭყალებს, ბრჭყალებით დაკვრას ნიშნავს), სვანურად “ჩანგი”, ხოლო შუმერული “ჩანკი” და სვანური “ჩანგი” ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც ტოლნაწილად გაჭრილი ვაშლის ნაჭრები.

ღმერთო ჩემო, ჩანგი და ფანდური, ნუთუ ისინი ხუთი ათასი წლისან არიან?...

ოზარ კალაბაჩიშვილი.
ჩანკი-ჩანკი-ჩანკი
ლი არჩილი.

ნაჩილი გამომავალია გზით
“თბილისი”-ში 1988 წლის 16
აპრილს.



როცა ქართულ ფოლკლორისტიკას განსაკუთრებით უჭირდა...



ომარ კელაპტრიშვილს მაშინ მოუხდა მოღვაწეობა, როცა ქართულ ფოლკლორისტიკას განსაკუთრებით უჭირდა. 1964 წელს კულტურის სახლში გამართულ კონცერტზე ომარი თავისი ტრიოთი დაჰმა კანდელაკებთან ერთად გამოვიდა. კონცერტის კონფერანსიე დიდი ვასო გომიაშვილი გახლდათ. ტრიო სცენაზე რომ გამოვიდა, მაყურებელმა სტვენა და ფეხების ბაკუნი დაიწყო.. ომარმა აცრემლე-ბულმა დატოვა სცენა და კულისებისაკენ წავიდა. ამ დროს ვასო გომიაშვილმა დაუძახა: “ჰეი, ახალგაზრდავ! შენ სცენას გამარჯვებული უნდა ტოვებდე და არა დამარცხებული”. შემდეგ ომარი იხსენებდა: “გომიაშვილმა სცენაზე გამოგვიყვანა და აუდიტორია დააწყნარა, გადმომხედა, მანიშნა, რომ დამეკრა სალამურზე. იმ დღეს ისე მოვაწონეთ თავი ჩვენს მაყურებელს, რომ სამი ნომრის ნაცვლად ექვსი შევასრულეთ. აი, ასე უხდებოდა დაცვა საკუთარ სამშობლოში ფანდურს, ჩონგურს და სალამურს. წლების გასვლის მერე, სანამ სცენაზე დაკვრას დავიწყებდი, მაყურებელი უკვე მიკრავდა ტაშს. ეს მხოლოდ ჩემი კი არა, სალამურის დიდი გამარჯვება იყო”.

“სალამურზე გედს ვერ ვიცეკვებ!”

ომარ კელაპტრიშვილის ცხოვრებაში იყო ბევრი საინტერესო დღე და ეპიზოდი.

1971 წლის ზამთრის მიწურულს, ომარი მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტებთან ერთად საბერძნეთს ესტუმრა. მათ შორის იყო ცნობილი რუსი ბალერინა ნინა ტიმოფეევა. მის გამოსვლას ყველა განსაკუთრებული ინტერესით ელოდა. მსახიობს სენ-სანსის “მომაკვდავი გედის” ცეკვა უნდა შეესრულებინა. მოულოდნელად ავად გახდა ჩელოზე დამკვრელი. საჭირო გახდა მისი შემცვლელის გამონახვა.



ჯგუფის ხელმძღვანელმა ლევ კოპალეტმა ომარის სთხოვა სალამურით შეეცვალა ჩელოზე დამკვრელი. პირველი, ვინც ეს ამბავი იუცხოვა,

თვითონ ტიმოფეევა იყო. მან განაცხადა: “სალამურზე გედს ვერ ვიცეკვებო”. ჯგუფის ხელმძღვანელი სხვა აზრისა იყო. ომარმა მთელი ღამე რეპეტიციაში გაატარა და დილით ნომერი მზად ჰქონდა. ტიმოფეევამ რეპეტიციაზე, როცა იგი სალამურის ჰანგებზე ცეკვავდა, აღფრთოვანებით წამოიძახა: კარგია, შესანიშნავია, ასეთი ემოციით არასოდეს მიცეკვიაო. კონცერტმა ბრწყინვალედ ჩაიარა. ა დ გ ი ლ ბ რ ი ე მ ა ტელევიზიამ ეს ნომერი ფირზე აღბეჭდა და ოქროს ფონდში შეიტანა.

ფოტოქრონიკა



ჰოლივუდში განცდილი

ფლება”. დაათვალიერეს ჰოლივუდი, იქ უთხრეს, რომ შესაძლებელია ერთ დღეში კინოს გადაღება. დილით გამზადდნენ დეკორაციებს, ვარჩევთ მსახიობებს და სალამოს უკვე გადაღებული გვაქვს ფილმი. იმდენად შთაბეჭდილი იყო ეს ომარისათვის, რომ იქვე დაუწერია ექსპრომტი ანზორ ერქომაიშვილისათვის: 1990 წელი, აპრილი, მშვენიერი დღე, ლოს-ანჯელესის ჰოლივუდში განცდილი.

გახსოვს? ჰოლივუდს რომ გვითხრეს,

ერთ დღეში ვიღებთ კინოსა? ნუ ეტყვი სოსო ჩხაიძეს რა ვიცი, არ ეწყინოსა. ნურც ეტყვი რეზო ჩხეიძეს, რომ გული არ ეტკინოსა, არცა ვიქმ საქმეს აუგას, არც სიტყვას უადგილოსა. იქნებ სიცრუეს წააგავს, ან ტრაბახს საჩვენებლოსა, არ გაგიკვირდეს სიმაართლე, არც სიმწრით გაგეცინოსა.

გარდაიცვალა 49 წლის ასაკში. დიდუბის პანთეონში მის საფლავის ქვას მისივე დაწერილი ეპიტაფია აწერია:

“სალამურს ენა ჩავუდგი, ბულბულის ყელის დარადა,

სული ჩავბერე, ამღერდა ქართველთა გასახარადა, ღმერთო, ეს ჰანგი მიკურთხე, მიცოცხლე აწ და მარადა”.

მართალია, ჩვენს შორის აღარაა ღირსეული მამულიშვილი, უბადლო მუსიკოსი, შესანიშნავი ოჯახის პატრონი, რომელმაც დაგვიტოვა შემოქმედის განუმეორებელი ხიბლი, განშორების ტკივილი და სინანული, მაგრამ ომარი მაინც ჩვენთან რჩება. მისი ჯადოსნური, ღვთით კურთხეული სალამური მუდამ იმღერებს საქართველოში.

“ღმერთო, ეს ჰანგი მიკურთხე...”

1992 წლის ივლის-აგვისტოში ანსამბლი “რუსთავი” საგასტროლოდ ინგლისში იმყოფებოდა. ერთ-ერთი კონცერტის დროს, ომარის მუცლის არეში გაუსაძლისი ტკივილი უგრძენია. სამწუხაროდ, ის ტურნე მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა. ბრიტანელი ექიმები საშველად თავზე იქვე დასდგომიან, სამედიცინო დახმარება ჩატარებით და მწვავე ლეიკოზი დაუდგენიათ. იქვე ოპერაციის გაკეთება შეუთავაზებიათ.

მაგრამ ომარს უარი უთქვამს, თუ სიკვდილი მიწერია, დაე საქართველოში მოგვედო! მერე აქ, თბილისში გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ ექიმების ყოველგვარი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. ომარი 16 აგვისტოს



მ ო ლ ა ლ უ რ ი

/ომარ კელაპტრიშვილის სსოწანს,
2001 წელი/
კაბადონზე მთვარე
გაშლის დიადემას;
წაიშლება ღამის ბნელი
ყიამეთი...
კავთისხევი ნათლის
სვეტით დიადლება,
სულს განაბავს
რულდაკრული თრიალეთი ...
ცის გუმბათზე
მოფრინდება მოლაღური,
ლერწმის ტკბილი
სალამური ამღერდება
მგალობელი, უფლის
ხელით მონათლული,
იმ ჰანგებით არასოდეს
დაბერდება...
ზეფირს მიაქვს ხმები
ტკბილი, ახლობელი...
შეისხნება ღრუბლის
ლეგა ყაბალახი,
დგას ირემი, ჰანგის
დიდი მწყალობელი,
მთიდან ბარში
ჩამოსული საბალახოდ...
ჩამომარცვლის როცა
ღამე მიივებს გიშრის,
და ფროთსნებიც
მილულავენ თვალებს, მძინარს ...
ვაჰმე, იმ მგალობელ
ომარ კელაპტრიშვილს
სალამურით მკერდზე,
პანთონში სძინავს.
ნორა ედიშერაშვილი.

“სალამურის კელაპტარი”

სალამური შენი სულის
კელაპტარად ენთო,
ქვათახევთან ჩანაცრულო,
ჰანგად დანაღვენთო,
კავთურასთან შეუერთდი
გონაშვილის საძმოს,
თქვენთან არის მამა-ღმერთი
ჩვენ აქ უნდა გაგვძლოთ.
სალამურში ამოთქმული
საქართველოს კენესავ,
ქილისის იქით, ქილისის
ზემოთ,
ღრუბლის ფარებს მწყემსავ,
კავთისხევთან მომენატრე
შენეული სტვირით ...
სალამურის კელაპტარო
საქართველო სტვირის.

გაჟა ოთარაშვილი.


ცას შერეგია მაგ ხმის ნათელი,
სამშობლოს ძარღვთან რა
ახლოს მოხველ,
გალობ და ყვავის მცხეთის
კალთები,
სტვირის და კენესის არ-
მაზის ციხე.
ჩანს ლერწმის ყელში
მინდვრები ქართლის,
დიდგორის ველი რას
ფიქრობს გულში,
შენ ხარ ცრემლები ობოლი
ბაღის
და გულის ჯვარი ამაყი
თუშის,
გალობ ხბოს ტყავზე
დაწერილ ეტრატს,
ცას უერთდები, შენ იწვი
როცა,
სიცოცხლე შენ და პაწა
ლერწამს,
რომ ალაგვინოთ მამულზე
ლოცვა.
თემურ ჩალაბაშვილი.

ღაჯაო გზებზე,
ემაგ შენი სალამურით

1938 წელს ივანე ჯავახიშვილმა არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინა ჰაჭარა მწყემსი ზიჯის საფლავი, რომლისთვისაც ჯირისუფალოს ძვლის უენო სალამური ჩაეყოლებინა. დღეს ეს სალამური ხელოვნების სახელომ-ნიფო მუზეუმში ინახება. “საზღვარი არ ჰქონდა ჩემს გაოწვას, როჯა მე ამ სალამურს ჩავბერე და 2500 წლის წინ დადუმებული სალამური ავახმინე”, – ამბობ-და ომარ კელაპტრიშვილი. სწორედ ამ მწყემსი ზიჯის სალამურს უძღვნა ომარმა ლექსი “ღაჯაო გზებზე ემაგ შენი სალამურით”.

რას გშველოდა ნეტავ
გულზედ სალამური,
შენი ცოდვით ალბათ ქვაც კი
იწვოდა,
რა იცოდი, რომ დღეს სიტყ-
ვას იბერიულს
შენს მაგიერ სალამური იტყ-
ოდა.
შენ შთაბერე მაგ სალამურს
გრძნობით სული,
შენ ჩაუდვი საჭიკჭიკოდ ჩი-
ტის ენა,
შთაბერე და ხმა გამოსცა საა-
მური,
მან ხელდახელ ზეცისაკენ
იწყო ფრენა.
შენი ხმები ეხლაც ესმის
ქართლის ველებს,
იგი ფროთხილად შეინახა გულ-
ში ერმა,
მე რომ ვმღერი, ის ხმა არის
შენი ხმების,
ვერ წაშალა ორი ათას ხუ-
თას წელმა.
შენ გისმენდა იგი ტურფა სე-
რაფიტი,
ემაგ ხმებზე ქართულ ცეკვებს
ალავლენდა,
ასხლტებოდა ჰაერს როგორც
ნეამორი
და გარემოს ჩამოშლილ თმებს
მოაფენდა.

იქნებ შენი სალამურის ნახი
ხმები,
ჩემს გულისთქმას დროის
ძაფით ეკერება.
და იმ სურნელს რომელითაც
შენ სუნთქავდი,
მე მერთვის და მორიდებით
მეფერება.
დაუკარი ჩემს თითებით სალ-
ამური,
რადგან მე ვარ ძმაო შენი ბე-
ლისწერა,
ბანი მოგვცენ ჩონგურივით
ტკბილსასმენი,
ის გადაგვხდეს, რაც გვქონია
შუბლის წერა.
დავალ გზებზე ემაგ შენი სალ-
ამურით
და უეცრივ ეს ზმანება ცხადი
გახდა,
ჯადოსნური თილისმით ვარ
მუდამ მთვრალი,
შენი ჰანგი ლერწმის ყელში
ჩამისახლდა.
შენი სული ამომღერის
საკრავიდან,
მტლად ედება, ენაცვლება იბე-
რიონს,
შენი მცხეთა დღესაც გადგას
ნათლის სვეტად,
კვლავ უეცარხარ უბერებელ
კავკასიონს.



80 წელი თქვენს გვერდით
გ ა მ ო ნ ე რ ე თ
„ახალი განთიადი,“!



გ ა ნ ს ხ ა ლ ა ბ ა

2013 წლის 6 ივნისს, დღის 12 საათზე კასპში, 9 აპრილის ქ. №3-ში გაიმართება შ.პ.ს. “ჯეოცემენტ გრუპი-ს” სამშენებლო მასალებ-ის წარმოების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგა-რიშის საჯარო განხილვა.
დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ცემენტის წარ-მოება. საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე: ქ. კასპი, 9 აპრილის ქ. №3.
დოკუმენტაციის ელ.ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: www.Moe.gov.ge, www.aarhus.ge
საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა 2013 წლის 31 მაისის 12 საათი.
შ.პ.ს. “ჯეოცემენტ გრუპი-ს” ადმინისტრაცია.



ფოტო-მაციანის შესაქმნელო



„ახალი განთიადი..“ იძებს წაინცერფრეს სურათებს წაიონის წაგზებით ფოტო-მაციანის შესაქმნელო. თხოვნით მიუშვრთავთ თანწაიონიერობებს - ღაჯოოეთ თქვენი ყვაროი სერნს მაციანეში! გამოგვიგზავნეთ წაინცერფრეს ღა წაწალონო ფოტოოებო!

რედაქციაში შემოსული წერ-ილები არ რეცენზირდება და ავჯოირებს არ უბრუნდებათ
გაზეთი იბაქდება გამომცემლობა „ქოლორში,“

რედაქცია სელმადვანელობს თაუისუაღი პარსის პრინციპებით. სტაგიონს ავოოროს აზრი, შესაქოა არ ემთხვეოდას რედაქციის აზრს. მოგანილი შაქაბიის სიზუსტეა პასუხისმგებელია ავოოარი. სარაქლაოო მასალები და განხილვაბების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აბაბს. რედაქციის ნებართვის გარეშე მასალები გამომავანება იარქალება.

რედაქტორი ნანა მერაბიშვილი
რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააქაიის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76